საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE BODY

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 134

07 09 2015 წელი

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის არსენ ახვერდიანის განცხადების განხილვის შესახებ.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 7 სექტემბრის სხდომის N14 ოქმის მე-7 საკითხის შესაბამისად, მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ხოჯორნში მცხოვრები მოქალაქე არსენ ახვერდიანის განცხადების (რეგ. N754/05. 18.08.2015წ) გათვალისწინებით

1. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, შესაბამისი სამსახურების მონაწილეობით უზრუნველყოს მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ხოჯორნში მცხოვრებ მოქალაქე არსენ ახვერდიანისათვის 2 წლის ვადით, ყოველთვიურად 250 ლარის გადარიცხვა ბინის ქირის გადასახადისათვის, ვინაიდან მას ხანძრის შედეგად მთლიანად გაუნადგურდა საცხოვრებელი სახლი და ოჯახთან ერთად დარჩა საცხოვრებლის გარეშე.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონული სასამართლოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ მოსამართლესთან (მის: ქ. მარნეული, ნარიმანოვის ქუჩა N4), მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველ მოადგილეს ზაურ ტაბატაძეს.

ნაბი აბდულაევი

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე:

383130 ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. №73 ☎ 22 53 07 // 22 26 26 RUSTAVELI str MARNEULI